ო ქ მ ი N9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 13 ოქტომბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 25 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს. ასევე განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უერთდება ძუძუს კიბოს წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას „ვარდისფერი ოქტომბერი". იქვე მადლობა გადაუხადა საზოგადოება „ხობელის" ხელმძღვანელობას და ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს საკრებულოს სხდომაზე მობრძანებისთვის და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართვისთვის.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

განსხვავებული მოსაზრება საკრებულოს წევრების მხრიდან არ გამოთქმულა, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 158.6 ათასი ლარით „გრანტებიდან“ (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) და განისაზღვრა - 21498,3 ათასი ლარი. გადასახდელები გაიზარდა 721.3 ათასი ლარით და განისაზღვრა -25299,9 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 562,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 56,7 ათასი ლარი, აქედან: 9,8 ათასი ლარი - ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,საწვავ/საპოხი მასალების შეძენა“ ასიგნებაზე; 3,0 ათასი ლარი - ათასი ლარი - ,,მივლინება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,მივლინება ქვეყნის შიგნით“ ასიგნება; 0,6 ათასი ლარი - ,,ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება“. 28,8 ათასი ლარი - ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“. 5,0 ათასი ლარი - ,,სოციალური უზრუნველყოფა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სოციალური დახმარება (ფულადი ფორმით)“. 5,2 ათასი ლარი - ,,არაფინანსური აქტივები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“. 4,3 ათასი ლარით - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა ასიგნება, ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“.

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 506,0 ათასი ლარი, აქედან: 400,0 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის კორცხოს უბანში დამეწყრილ შიდა სასოფლო გზაზე გადაუდებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სამუშაოების ასიგნებაზე; 5,0 ათასი ლარი - ქ. ხობში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის გაზმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ასიგნებაზე; 5,0 ათასი ლარი - სს „ენერგოპრო ჯორჯია"-ს კუთვნილი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ხობის ცენტრალური პარკის ტერიტორიიდან გადატანა-რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 96,0 ათასი ლარი - ხობის მუნიციპალიტეტში, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ღელე შხერულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ასიგნებაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N20 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" და განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი" იღებს ვალდებულებას, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ააშენოს ახალი ამბულატორიები, რისთვისაც გადაეცემათ ფართები მშენებლობის განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ი. ჯიშკარიანი - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ამბულატორიის ტერიტორიის გადაცემის, გამომდინარე იქედან, რომ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს ეკლესია. გამომდინარე აქედან, მან ბიუროს სხდომაზე თხოვნით მიმართა, სხდომაზე მოწვეულ მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლებს, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ალტერნატიული ფართი შეეთავაზებინათ ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ ახალი ამბულატორიის მშენებლობისთვის, რასაც ბიუროს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე მოაგვარა აღნიშნული პრობლემა და ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, გადაეცემა ალტერნატიული ფართი ამბულატორიის ასაშენებლად, რომელიც ცენტრთან უფრო ახლოს არის და მოსახლეობისთვისაც უფრო მოსახერხებელი იქნება.

ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა მოსახლეობის სახელით, მადლობა გადაუხადა ყველას მხარდაჭერისთვის

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ვ. ქანთარიას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შევიდა წერილები შავღელის და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში მისი ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ გადასაცემის მიზნით. ზემო აღნიშნული წინადადების საფუძველზე, მერიის მხრიდან, მიზანშეწონილად ჩაითვალა მოთხოვნილი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ამბულატორიების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში

მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მის კორექტირებულ ვარიანტს ეყაროს კენჭი და ამოღებულ იქნეს ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ამბულატორიის ფართი.

კენჭი ეყარა წინადადებას ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული ამბულატორიის ფართის ამოღების თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ჩარტია)

კენჭი ეყარა კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N24 ოქმს თან ერთვის)

3. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამეურვეო საბჭოს ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სახელის შეცვლის შესახებ. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N26

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 აგვისტოს N13 დადგენილების თანახმად, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შედეგად გაღმა საჯიჯაო ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლის სახელი, რადგანაც ამ ეტაპზე გაღმა საჯიჯაო წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს, ხოლო საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს ერთი სკოლა შესაბამისად არ არის საჭიროება სკოლის დანომვრის. ზემო აღნიშნულის გამო სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოლის სახელწოდების ცვლილება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლა“. საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N1 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N25 ოქმს თან ერთვის)

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს ბ. მამაცაშვილს წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, სამეგრელო-ზემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №16 განკარგულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, კერძოდ: ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების ჩამონათვალი დაემატა განკარგულებას დანართის სახით, სადაც ასახულია პროექტის საერთო ღირებულება, აქედან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული თანხა ცალკეა ასახული, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით დამატებული თანხა ცალკეა მითითებული, დანართში ასევე აისახა პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023

წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ჩარტია, ლ. ალანია, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N26 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მედეა თათარიშვილი
9. ლევანი ლიპარტია
10. ია ჯიშკარიანი
11. ბექა ხარბედია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ჯანსუღი ჯიშკარიანი
14. ფელიქსი წურწუმია
15. მაკა ჩარტია
16. ლელა ადანაია
17. მოგელი ხუხია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. მზია ლემონჯარია
22. ლევანი ლაშხია
23. სერგო ბერაია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა